ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2059524

ნომერი: AR1323094

თარიღი : 01.07.2015

გაცემის თარიღი : 10.08.2015

გაცნობის თარიღი : 10.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 2 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N39 - ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქობულია პ/ნ 01011009903
- თბილისი. გუდაურის ქ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანისა და დამატების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01.07.2015 წ. #AR1323094 განცხადებით მომართა ლაშა ქობულიამ (თანაგამცხადებელები გიორგი ჟვანია, გია ქვრივიშვილი, ხათუნა თევზაძე და ნანა რუსიშვილი) და მოითხოვეს ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 03.12.2003 წელს ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. #2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.14.14.002.013 (ფართობი 1706 კვ.მ.) საოფისე კომპლექსის ასაშენებლად მომზადდა

#3106 სამშენებლო პასპორტი, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის #61107 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოხსენებულ აქტში.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.14.002.116 ფართობი – 925 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები. განმცხადებელი ასევე ითხოვს ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებას, კერძოდ მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი–საცხოვრებელი) დაფიქსირებას.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 03.12.2003 წ. #3106 ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის სამშენებლო პასპორტით დავალება გაცემულია „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც სამშენებლო პასპორტში უნდა აისახოს ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს მრავალფუნქციური შენობა (საზოგადოებრივი–საცხოვრებელი);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში, დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.14.002.116 ფართობი – 925 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015149329);
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-925 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.14.002.116;
4. ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტს დამატებით დოკუმენტაციად დაემატოს "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს 2015 წლის 30 ივლისის 34 სხდომის ოქმი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება. ასევე დაემატოს ჩანაწერი ზემოაღნიშნული საბჭოს წევრთა მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტთან და ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის #61107 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.